ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 309

"20" ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ბოხუას ქ. №10 (ს/კ №01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთსის" (ს/ნ 204514926) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „ქ. თბილისში, ბოხუას ქ. №10 (ს/კ №01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთსის" (ს/ნ 204514926) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის № 20.1229.1525 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთსის" (ს/ნ 204514926) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, ბოხუას ქ. №10 (ს/კ №01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა)მოხდეს კორექტირებული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფუნქციით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად;

ბ)მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაანგარიშება მოხდეს „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტო №8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების" შესაბამისად;

გ)არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო ინფრასტრუქტურაზე სატრანსპორტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასების გარეშე;

დ)განმცხადებლის სურვილის გათვალისწინებით, ასევე მისაღები პრეფერენციების საკომპენსაციოდ, არქიტექტურული პროექტი დამუშავდეს „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების გათვალისწინებით, გარდა ავტოსაშხეფი სისტემის გამოყენებისა საცხოვრებელ ბინებში და გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ობიექტის მშენებლობა ნაწარმოებია და ფიზიკურად შეუძლებელია მისი დაცვა;

ე)დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2020 წლის 19 ოქტომბრის №8 სხდომის ოქმში აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების შესრულება განხორციელდეს შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტსა” და შპს ,,დიღომი დისთრიქთ აფართმენთს“ შორის 2020 წლის 29 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, შპს ,,დიღომი დისთრიქთ აფართმენთს“- ისთვის გადასაცემი ფართების ფარგლებში;

ვ)ქალაქ თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ამჟამინდელი მდგომარეობით კლიენტთა სიით განსაზღვრულ პირთა გარდა, აღნიშნულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში სხვა პირთა მიმართ ფართის ან ფულადი სახით გასაცემი ვალდებულებების დადასტურების შემთხვევაში, ვალდებულებები შესრულებულ იქნას შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტსა“ და შპს ,,დიღომი დისთრიქთ აფართმენთს“ შორის 2020 წლის 29 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, შპს ,,დიღომი დისთრიქთ აფართმენთს“-ისთვის გადასაცემი ფართის ფარგლებში.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**